საინფორმაციო ბიულეტენი

თებერვალი-მარტი *2023*

DRI-ის კოალიციური საქმიანობა

- სამოქალაქო საზოგადოების სოლიდარობა "პალიტრა მედიას"
- საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიმართვა ევროკომისარ ვარჰეის
- განცხადება მიხეილ სააკაშვილის სასამართლო პროცესთან დაკავშირებით
- კონფლიქტებით დაზარალებულ პირთა უფლებებსა და მშვიდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების გამოხმაურება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე
- რუსული კანონი არ არის საქართველოს არჩევანი

DRI-ის საქმიანობა თებერვალსა და მარტში

- DRI: პარლამენტის მიერ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ რუსული კანონპროექტის ჩაგდების შემდეგ აფხაზეთში რუსული პროპაგანდა გააქტიუდა
- DRI:ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობას დე ფაქტო გამშვებ პუნქტზე ტვირთის გადატანას უკანონოდ უზღუდავენ
- DRI: „ქართული ოცნება“ აგრძელებს სამოქალაქო საზოგადოების დისკრედიტაციის საინფორმაციო კამპანიას
- DRI: ზურა ჯაფარიძის მიმართ გამოყენებული იყო არაპროპორციული ძალა და დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციის სულ მცირე სამი მუხლი
- DRI: პლენარულ სხდომაზე ერთი მოსმენით მიღებული კანონის პროექტის განცხადებით გაწვევა შეუძლებელია
- DRI: ხელისუფლება უხეშად ზღუდავს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებას
- „ქართული ოცნების“ ლიდერების ანტიდასავლური განცხადებები პოლიტიკური პასუხისმგებლობის თავიდან არიდების მცდელობაა

DRI დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი
Democracy Research Institute

DRI საჯარო პოლიტიკის ანალიტიკური ინსტიტუტია, რომლის მიზანია კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების დაცვა, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული სახელმწიფო მმართველობის დამკვიდრება, კონფლიქტურ რეგიონებში ადამიანის უფლებების დაცვის, მხარეებს შორის ნდობის აღდგენის და ინტეგრაციის პოლიტიკის პოპულარიზაცია და სახელმწიფოს ევროპული ინტეგრაციის ხელშეწყობა.





ევროკომისიის 12 პრიორიტეტის შესრულების შეფასება

ანგარიშში წარმოდგენილია საქართველოს მიერ ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პრიორიტეტის შესრულებაზე მუშაობის პროცესი, თითოეული პუნქტის შესრულების შეფასება და არსებული გამოწვევები.

უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო კონტროლის მნიშვნელობა და არსებული გამოწვევები

ანგარიშში კრიტიკულად არის შეფასებული უსაფრთხოების სექტორზე საპარლამენტო ზედამხედველობის მოქმედი მექანიზმები, ასევე წარმოდგენილია საპარლამენტო ზედამხედველობის მიმართულებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შეფასება, ევროკავშირის 12 პუნქტიანი გეგმის შესრულების ფარგლებში.

საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ

დაკვირვებამ აჩვენა, რომ 2020-2021 წლებთან შედარებით, მშვიდობიანი შეკრების დროს დაკავებულ პირთა რაოდენობა და სამართალდამცავების მხრიდან ძალის გადამეტების სიხშირე შემცირებულია. თუმცა, კვლავ აქტუალური რჩება სამართალდამცველების და სასამართლოს შერჩევითი მიდგომა აქციაზე დაკავებული პირების მიმართ.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერული რიტორიკა და ტენდენციები სოციალურ ქსელებსა და ონლაინ მედიაში

ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიგენდერულ რიტორიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფემიციდის, როგორც მნიშვნელოვანი გამოწვევის, სრული იგნორირებისა და უარყოფის პრაქტიკას, რაც განსაკუთრებით საზიანო და სახიფათოა ქალებისთვის.